საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/3688
20/07/2022

3688-21-2-202207201546

შპს „მშენებელი 1616“-ს
მის: ქ. რუსთავი, XII მ/რ. №1, ბინა №173

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №17587 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ. აღთაკლიაში სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და მოცემული უნდა იქნეს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადება წარმოდგენილი უნდა იქნეს ტერიტორიაზე არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის, კერძოდ, შპს „მშენებელი 1616“-ის მიერ განხორციელებული და დაგეგმილი ღონისძიებების გათვალისწინებით;
- დოკუმენტში წარმოდგენილ გენგეგმაზე დატანილი უნდა იყოს სამსხვრევ-დამახარისხებელი დანადგარის შემადგენელი ობიექტები, GPS კოორდინატების მითითებით;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი არ არის ინფორმაცია წყალაღების წერტილიდან სამსხვრევ-დამხარისხებელ დანადგარამდე წყლის მიწოდების ტექნიკური გადაწყვეტის შესახებ;
- სკრინინგის განცხადებაში, რიგ შემთხვევაში აღნიშნულია, რომ საწარმოში მოხდება 52 000 ტონა ნედლეულის, ხოლო რიგ შემთხვევაში - 52 000 მ^3 ნედლეულის გადამუშავება. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას;
- დოკუმენტში წარმოდგენილი არ არის საწარმოს სასმელი წყლით უზრუნველყოფის საკითხი;
- 6.3 თავში აღნიშნულია რომ საწარმოს ტერიტორია მოშანდაკებულია და არ არსებობს ნიადაგის ნაყოფიერი ფენა, თუმცა, ამავე თავში მითითებულია, რომ საწარმოს ფუნქციონირებისას, ნიადაგზე შესაძლო ზემოქმედება შესაძლებელია გამოიწვიოს ტექნიკის ან სატრანსპორტო საშუალებებიდან ნავთობპროდუქტების ავარიულმა დაღვრამ/გაჟონვამ. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული

შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო